INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის (http://mandaturi.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 31 აგვისტო

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
http://mandaturi.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
38,10%
57,25%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
25,00%
59,50%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
40,00%
55,50%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
22,22%
15,00%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
0,00%
0,00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7,14%
50,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული თითქმის არანაირი ინფორმაცია სამსახურის ხელმძღვანელობის შესახებ, გარდა მათი სახელებისა და გვარებისა, კერძოდ:

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება უფროსის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის მოადგილეების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციისა და საკურატორო სფეროების აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილეების არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

სამსახურის უფროსისა და მისი მოადგილეების სახელები და გვარები მოცემულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“. სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილებები - „სამსახურის უფროსი“ და „მოადგილეები“, სადაც განთავსდებოდა სამსახურის ხელმძღვანელობის შესახებ ყველა სახის ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია:



2. სამსახურის სრული დასახელება არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური“, ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება:

ამასთან, არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, სამსახურის საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითებით), ფაქსის ნომერი და სამსახურის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ქვედანაყოფების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სამსახურის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

4. ვებ-გვერდზე მოცემულია სამსახურის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია აქვე მითითებულიც იყოს რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:



5. ვებ-გვერდზე მართალია მოცემულია საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ლოგოტიპი, თუმცა სასურველია აქვე მოცემული იყოს სამინ ისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმული და შესაბამისი ტექსტური აღნიშვნაც:



6. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიზნების, საქმიანობის საგნისა და მოვალეობების აღწერა.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი;

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი, საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საფუძველზე გაფორმებული და სხვა სახის ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სტატისტიკური მონაცემები, პროგრამები და პროექტები, გეგმები და პროგნოზები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებული ქვე-განყოფილება „მანდატურის დებულება“ ცარიელია:

ვებ-გვერდის ნავიგაციაზე განთავსებული განყოფილების სათაურად „ვიდეო გალერეა“ შიგთავსი ცარიელია:

ცარიელია აგრეთვე ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება, სათაურად „ვაკანსიები“:



9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ შედგენილი საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლენილი დარღვევების შესახებ სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისი აღრიცხვის ფურცლები. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არსებობს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლენილი დარღვევების შესახებ ელექტრონულ საინფორმაციო ბაზა.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ არანაირი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მისი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში;

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის არც ერთი მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მათი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში.

11. სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლეები“ მოყვანილი საინფორმაციო ხასიათის ცნობები საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საქმიანობის შესახებ თარიღდება მხოლოდ 2011 წლის აგვისტოს თვით, რაც საშუალებას არ აძლევს მომხმარებელს გაეცნოს სამსახურის საქმიანობის შესახებ 2011 წლის აგვისტოს თვემდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის ცნობებს:



სიახლეები

21 აგვისტო 2011

მანდატურების აქცია

მანდატურები და გარემოს დაცვის სამინისტრო ერთობლივ აქციებს განაგრძობენ.

ვრცლად >>

17 აგვისტო 2011

მანდატურებმა სისხლი ჩააბარეს

მანდატურებმა "მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში" სისხლი უანგაროდ ჩააბარეს. საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, ონკოლოგიური სენით დაავადებულ ბავშვებს 100 მანდატური დაეხმარა.

ვრცლად >>

15 აგვისტო 2011

მანდატურები დასუთავების აქციას შეუერთდნენ

მანდატურებისა და გარემოს დაცვის სამინსიტროს ერთობლივი ღონისძიების ფარგლებში "პოლიეთილენის პაკეტი-ბუნების მტერია" ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორია მთელი დღის განმავლობაში სუფთავდებოდა.

ვრცლად >>

15 აგვისტო 2011

მანდატურის სამსახური მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასწავლო დაწესებულების მანდატურის სამსახური მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდა. ორდღიანი გასვლითი სემინარი, აჭარაში გაიმართა სადაც, ტელე-რადიო კომპანიებისა და რამდენიმე ბეჭდვითი მედიის 20-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ვრცლად >>

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სამსახურის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიშები, სადაც განთავსდებოდა სამსახურის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები.

14. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური. აგრეთვე, სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური.

15. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

16. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილება „ტენდერები“, სადაც განთავსდებოდა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და მომზადებული პროგნოზები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

18. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად - „კანონმდებლობა“ ან „სამართლებრივი აქტები“, სადაც განთავსებული იქნებოდა სამსახურის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, მინისტრისა და სამსახურის უფროსის ინდივიდიუალურ ადმინსიტრაციულ-სამართლებრივი აქტები, აგრეთვე საკანონმდებლო აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება სამსახურის შინაგანაწესი. აღნიშნული აქტი სასურველია მოიძიებოდეს შესაბამის განცალკევებულ (ქვე)განყოფილებაში.

სასურველია აღნიშნულ (ქვე-) განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 74/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

19. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

20. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

21. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამსახურსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, სამსახურსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები, აგრეთვე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებები.

22. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „ტენდერები", სადაც განთავსდებოდა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და საინფორმაციო ხასიათის ცნობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

23. მართალია ვებ-გვერდზე არსებობს განყოფილება სათაურად „ვაკანსიები", თუმცა მისი შიგთავსი ცარიელია. სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამსახურის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

24. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამსახურისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამსახურის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამსახურის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამსახურის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამსახურისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77,78%
2. ძიება
60,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
50,00%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
46,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
55,00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
16,67%
10. ელექტრონული სერვისები
9,09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
41,67%
0
0,2
0,4
0,6
0,8

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის ვიდეო გალერეა ცარიელია, შესაბამისად ამ გვერდზე უნდა აღნიშვნა, რომ იგი მზადების პროცესშია:



- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

ვებ-გვერდში საკონტაქტო ფორმა არსებობს, თუმცა იგი განთავსებულია „ხშირად დასმულ კითხვებში.“ მისი გადმოტანა საკმაოდ მარტივად შეიძლება საკონტაქტო გვერდში, შესაბამისად მომხმარებელსაც გაუადვილდება ადმინისტრაციასთან კონტაქტის დამყარება;

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

სხვა და სხვა ბრაუზერებში თავს იჩენს მცირე ხარვეზები, რაც მეტყველებს ვებ-გვერდის პროგრამული კოდის გაუმართაობაზე:



- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ვებ-გვერდის ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან არასრულყოფილია. მხოლოდ Facebook-ის Fan Page-ის ბმული არასაკმარისია ვებ 2.0 სტანდარტებისთვის. Youtube-ის ბმული გადადის უბრალოდ Youtube.com-ის ვებ-გვერდზე:



- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდის robots.txt-ში, რომელიც გამოიყენება საძიებო სისტემებისთვის, შეტანილია ადმინისტრაციის გვერდის მისამართი:



რაც კიდევ უფრო ზრდის ვებ-გვერდის დაზიანების ან უკანონოდ შეღწევის შანსს:

- **დამატებითი პარამეტრები**

მანდატურის სამსახურის ელექტრონული რესურსის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა არის, ის რომ ვებ-გვერდი არ ფუნქციონირებს www. ჩანაწერით და მხოლოდ http://mandaturi.gov.ge გამოყენებით ხდება მასზე შესვლა.



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდს ეტყობა რომ ახალი შექმნილია, მასში გამოყენებულია თანამედროვე მოდულები, თუმცა მათი ხარისხი არც თუ ისე მაღალია, დაშვებულია წვრილმანი შეცდომები, როგორც დიზაინის კუთხით ასევე პროგრამული უზრუნველყოფის კუთხით. ზოგადად ვებ-გვერდი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ იგი ჯერ კიდევ მზადების პროცესშია.